დამატებითი შეთანხმება №1
2012 წლის 18 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ 1/115-2012 ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი "24" მაისი 2012წ.

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონში აეროპორტი (აეროპორტის დასახლება) ს.კ №404 389 693) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ალექსიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი"

და

მეორე მხრივ, **შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი"** (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვ. ფშაველას №71 ს.კ.204 477 734) წარმოდგენილი მისი დრექტორის ამირან მამუჭაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი")

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის 2012 წლის 18 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/115-2012 ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") შევიდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს მე-4 მუხლის (ანგარიშსწორების პირობები) 4.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

   „4.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ავანსს. ავანსის ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 25%-ს – 3 242 687,99 (სამი მილიონ ორასორმოცდაორი ათას ექვსასოთხმოცდაშვიდი ლარი და 99 თეთრი) ლარს (გადასახადების ჩათვლით). საბანკო გარანტია ძალაში უნდა დარჩეს, ვიდრე წინასწარი გადახდა არ იქნება კომპენსირებული. ამასთან, ავანსის თანხა პროგრესულად შემცირდება მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხის პროპორციულად. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მიმწოდებლის მიერ ყოველი შესრულების წარმოდგენისას ანაზღაურდება მისი 75%, ხოლო 25% გაიქვითება ავანსად გადახდილი თანხიდან".

2. ხელშეკრულების ყველა სხვა დებულება რჩება უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

4. წინამდებარე შეთანხმება ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	**შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"**
ქეთევან ალექსიძე დირექტორი	ამირან მამუჭაძე დირექტორი